ქართული ენისა და დიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო

ქართული ენისა და ლიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო

II კლასი

ძვირფასო კოლეგებო,

წიგნში თავმოყრილი მასალა დაგეხმარებათ, თქვენმა მეორეკლასელმა მოსწავლეებმა ქართულ ენაზე შეძლონ:

- სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება-გააზრება, ტექსტის შინაარსის ზეპირად და წერილობით გადმოცემა;
- პირადი დამოკიდებულების გამოხატვა პერსონაჟ(ებ)ის მიმართ, მისი/მათი ქცევის შეფასება და არგუმენტირება;
- შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება;
- ილუსტრაციისა და ტექსტის ურთიერთდაკავშირება;
- მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება;
- ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით;
- კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად;
- მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა/წერა ნაცნობ თემატიკაზე;
- მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა;

წიგნში გამოყენებულია პირობითი აღნიშვნები:

ლექსიკონი	კითხვა-პასუხი	წერითი აქტივობა	მხიარული გრამატიკა	ვიზუალიზაციის აქტივობა

სარჩევი

ჩემი მხარე - გიორგი ქუჩიშვილი 7

ლომი და თაგვი - იაკობ გოგებაშვილი 8

კეთილი ბერიკაცი - იაკობ გოგებაშვილი 10

მეფე და მხატვარი - სულხან-საბა ორბელიანი 11

დედის დარიგება - გიორგი ჭალადიდელი 12

აფრინდა, აფრინდა - ქეთევან ჭილაშვილი 13

თბილი ქვეყნებისაკენ - ნიკო კეცხოველი 15

გაბაასება - ნოდარ დუმბაძე 17

ჭიანჭველა და ფუტკარი - იაკობ გოგებაშვილი 19

შვიდი ტყუპისცალი - მარიამ წიკლაური 20

მოხდენილი პასუხი - იაკობ გოგებაშვილი 22

მოდით, ტყის გზას გავუყვეთ. 23

ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები - ჯანი როდარი 24

უნიჭო ობობა - ერლომ ახვლედიანი 26

სოკოს ქვეშ - პიესა იაპონური ზღაპრის მიხედვით 27

ჩემი მხარე

ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
სიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს.
ვინც მისწვდება ჩემი ქვეყნის
მწვერვალებს და ღრუბლებს,
ისიც მგოსნად გადიქცევა,
მზესთან ისაუბრებს!

გიორგი ქუჩიშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. ამის პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ეწვევა – ესტუმრება.
საოცნებო – ის, რაზეც ოცნებობენ.
სერი – წაგრძელებული დაბალი მთა.
მისწვდება – მიეკარება; ხელს მიაწვდენს.
მწვერვალი – მთის ყველაზე მაღალი ნაწილი.
მგოსანი – პოეტი; ვინც ლექსებს წერს.
გადიქცევა – შეიცვლება, გარდაიქმნება.

2. ნაუკითხეთ მოსწავლეებს ლექსი და სთხოვეთ, უპასუხონ კითხვას:

- რა იგულისხმება ლექსის ამ მონაკვეთში - „მზესთან ისაუბრებს“!?

3. თამაში – სიტყვების ჯაჭვი:

სთხოვეთ მოსწავლეებს, ლექსიდან შეარჩიონ სიტყვები, რომლებიც მოეწონათ (მაგალითად: საქართველო, სიმღერა, მწვერვალი, მზე). თითოეულ სიტყვას დაამატონ ახალი სიტყვები ისე, რომ შექმნან სიტყვების ლოგიკური ჯაჭვი.

ნიმუში: საქართველო - ლამაზი, დიდი, მთიანი.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ უცნობი ტექსტი, ხაზგასმული სიტყვები შეცვალონ მსგავსი ღექსიკური ერთეულებით.

იყო ერთი მშვენიერი ჭაბუკი. მან მრავალი ქვეყანა მოიარა. ერთხელ ჭაბუკს ცბიერი კაცი შეხვდა. კაცმა უთხრა: ვინც უფრო ლონიერი იყოს, ეგ ცხენი იმას დარჩესო. გონიერმა ჭაბუკმა კი უთხრა: თუ ჩემს გამოცანას გამოიცნობ, ამ ცხენს მაშინ დაგითმობო.

5. სთხოვეთ მოსწავლეებს, დახატონ საკუთარი მხარე და აღწერონ, რა დახატეს და რით ჰგავს მათი ნახატი ღექსში აღწერილს.

ლომი და თაგვი

ლომს ტყეში ეძინა. თაგვმა ზედ გადაურბინა. ლომმა გამოიღვიძა და დაიჭირა. თაგვმა უთხრა: - გამიშვი და გაჭირვებაში დაგეხმარებიო. ნადირთა მეფეს გულიანად გაეცინა და გაუშვა.

გავიდა ხანი. ლომი მონადირეების დაგებულ ხაფანგში გაება და საშინელი ღრიალი მორთო.

თაგვს შემოესმა ლომის ხმა, მოცუნცულდა, გადაღრღნა ხაფანგის თოკი და გაათავისუფლა ლომი.

ლომმა მადლობა გადაუხადა. თაგვს ჩაეცინა და უთხრა: - ხომ ხედავ, დიდ და ძლიერ ლომსაც შეიძლება დასჭირდეს პატარა თაგვის დახმარებაო.

იაკობ გოგებაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ნადირთა მეფე - ლომი. რადგან ძლიერი ცხოველია, მას ნადირთა მეფედ მოიხსენიებენ.
გულიანად გაეცინა - გულით, გრძნობით, ემოციით გაიცინა.
ხაფანგი - ნადირ-ფრინველთა და მღრღნელების საჭერი.
ღრიალი - ხმამაღალი ყვირილი; აქ: ლომის ხმიანობა
მოცუნცულდა - პატარა, ჩქარი ნაბიჯებით მოვიდა.
გადაღრღნა - კბილებით გადაჭრა.

2. წაიკითხეთ ტექსტი და სთხოვეთ მოსწავლეებს, უპასუხონ კითხვებს:

მარტივი კითხვები

რატომ დაიჭირა ლომმა თაგვი?
რას დაჰპირდა თაგვი ლომს?

ტექსტის გაგება

როგორ დაეხმარა თაგვი ლომს?
რას ნიშნავდა თაგვის სიტყვები – „დიდ და ძლიერ ლომსაც შეიძლება დასჭირდეს პატარა თაგვის დახმარება“

კრიტიკული გააზრება

როგორ ფიქრობ, მართლა შეიძლება პატარა არსებამ დიდი და ძლიერი გადაარჩინოს?
რას გვასწავლის ეს მოთხრობა?

3. მაიხსენე ტექსტი და მამოტოვებული ადგილას სწორად ჩასვი მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები:

ლომს ტყეში ..... . თაგვმა ზედ ..... . ლომმა ..... და ..... .

ლომი მონადირეების დაგებულ ხაფანგში ..... და საშინელი ღრიალი ....

კეთილი ბერიკაცი

ბერიკაცი ბაღში მსხლის ნერგს რგავდა. მოვიდა ერთი ყმაწვილი და ჰკითხა:

- ბიძია, როდის დაისხამს თქვენი დარგული მსხალი ნაყოფს?

- თუ კარგად იხარა, ათი წლის შემდეგ, - უთხრა ბერიკაცმა.

- მერედა, თქვენ მოესწრებით მაგ ხის ნაყოფს?

- მე ალბათ ვერ მოვესწრები, მაგრამ თქვენ მოესწრებით, შვილო, გაიხარებთ

და მომიგონებთო, - მიუგო კეთილმა ბერიკაცმა.

იაკობ გოგებაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ბერიკაცი - მოხუცი კაცი.
ნერგი - დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მცენარე.
იხარებს - კარგად გაიზრდება; გაძლიერდება.
მომიგონებთ - გამიხსენებთ; იფიქრებთ ჩემზე.
კეთილი - კარგი, სხვისთვის კარგის მდომელი, სხვის სიკეთეზე მზრუნველი.

2. წაუკითხეთ მოსწავლეებს მოთხრობა და სთხოვეთ, უპასუხონ კითხვებს:

1. რას აკეთებდა ბერიკაცი?
2. რა ჰკითხა ყმაწვილმა ბერიკაცს?
3. რა უპასუხა ბერიკაცმა ყმაწვილს?
4. რა არის: ბაღი, ყანა, ვენახი?

მეფე და მხატვარი

იგავ-არაკი

ერთ ცალთვალა მეფეს დახელოვნებული მხატვარი ჰყავდა, რომელიც არ მოსწონდა და მიზეზს ეძებდა, რომ სიკვდილით დაესაჯა.

ერთხელ მეფემ უბრძანა მხატვარს:
- მინდა დამხატო!

მხატვარმა გულში თქვა: ახლა კი მოვიდა ჩემი აღსასრულის დღე, ცალთვალა რომ დავხატო, მომკლავს, როგორ მკადრეო; თუ ორივე თვალს დავუხატავ, მაინც მომკლავს: ჩემი მსგავსი არ არისო.

მხატვარმა ბევრი ფიქრის შემდეგ ეს ხერხი მოიგონა: დახატა ირემი, მეფეს ხელში თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და საღი თვალით ირემი მიზანში ამოაღებინა. მხატვარმა ეს სურათი მეფეს მიართვა. მეფემ მიზეზი ვეღარ მოუძებნა და მხატვარი სიკვდილს გადაურჩა.

სულხან-საბა ორბელიანი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ცალთვალა - ერთი თვალის მქონე.
დახელოვნებული - თავისი ხელობის, ანუ საქმის კარგი მცოდნე
სიკვდილით დასჯა - ვინმეს სიცოცხლის შეწყვეტა.
უბრძანა - უფლებამოსილი პირის მიერ განკარგულების ან დავალების გაცემა, რომლის შესრულებაც სავალდებულოა.
აღსასრული - სიცოცხლის დასასრული, გარდაცვალება.
ხერხი - რაიმეს გაკეთების, განხორციელების, მიღწევის გზა, საშუალება.
გადაურჩა - საფრთხეს თავი დააღწია.

2. წაუკითხეთ იგავ-არაკი მოსწავლეებს და შემდეგ მოასმენინეთ აუდიოჩანაწერი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. აუდიოწიგნი: სალხან-საბა ორბელიანი - „მეფე და მხატვარი“;

2. წაუკითხეთ მოსწავლეებს იგავ-არაკი და სთხოვეთ, უპასუხონ კითხვებს:

- რა სურდა მეფეს?
- როგორი იყო მეფე?
- რა მოიფიქრა მხატვარმა?
- რამდენად შეესაბამება ამ იგავ-არაკს ანდაზა - „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

4. სთხოვეთ მოსწავლეებს, ტექსტზე დაყრდნობით შექმნან ილუსტრაციები.

დედის დარიგება

გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ჯაფა ნუ დაგზარდება!
მუდამ გახსოვდეს, რომ შენი ცოდნა
შენსა ქვეყანას გამოადგება.

იყავ ბეჯითი და გქონდეს სმენა,
დიდი განძია ცოდნის შეძენა,
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო, -
გულით გიყვარდეს სამშობლო ენა!

მერწმუნე, შვილო, გამოცდილია,
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია.

გიორგი ჭალადიდელი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

გულმოდგინება - ბეჯითი, ვინც საქმეს დიდი მონდომებით აკეთებს.
ჯაფა - მძიმე შრომა.
გქონდეს სმენა - იყავი გამგონი, შეისმინე!
სამშობლო ენა - მშობლიური ენა; დედაენა.

2. მოსწავლეებს წააკითხეთ ლექსი და სთხოვეთ, უპასუხონ კითხვებს:

- რატომ უნდა გიყვარდეს სწავლა?
- ვის გამოადგება შენი ცოდნა?
- რა არის საძირკველი?
- რა არის დედის უმთავრესი სათხოვარი?

აფრინდა, აფრინდა

- გინდათ, „აფრინდა, აფრინდა“ ვითამაშოთ? - წამოიძახა მამუკამ.
- გვინდა, გვინდა! - დაეთანხმნენ ბავშვები და მწვანეზე მოიკალათეს.
- ვიწყებ! - თითი მუხლზე დაიდო მამუკამ და სულგანაბულ მეგობრებს ეშმაკურად გადახედა:
- აფრინდა აფრინდა, ჩიტი აფრინდა!
- აფრინდა! - დაიძახეს ბავშვებმა და ხელები მაღლა ასწიეს.
- აფრინდა აფრინდა, თვითმფრინავი აფრინდა!
- აფრინდა! - ბავშვებმა ისევ მაღლა ასწიეს ხელები.
- აფრინდა აფრინდა, ხე აფრინდა!
- აფრინდა! - წამოსცდა ნინის.
- ხე არ ფრინავს! - ატეხეს ყიჟინა ბავშვებმა, - შეგეშალა, გავარდი!
- აფრინდა აფრინდა, გიგი აფრინდა!
- აფრინდა! - ხელი ასწია გიგიმ.

- წააგე, თამაშიდან გავარდი! - დაიძახეს ბავშვებმა.

- არაფერიც, რატომ წავაგე?! მე კოსმონავტი უნდა გავხდე, - ამაყად გადახედა გიგიმ მეგობრებს.

ბავშვებმა ჟრიამული ატეხეს და სიცილ-კისკისით განაგრძეს თამაში.

ქეთევან ჭილაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

წამოიძახა - სწრაფად და ხმამაღლა თქვა; უცებ წარმოთქვა.
ჟრიამული - მხიარულების გამომხატველი ხმაური.
სულგანაბული - გაჩუმებული; გარინდებული.
ეშმაკურად - მოხერხებულად; თვალთმაქცურად.

2. ტექსტის წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ უპასუხონ კითხვებს:

1. რას თამაშობენ ბავშვები?
2. რა მოხდა, როცა მამუკამ თქვა „აფრინდა აფრინდა, ხე აფრინდა!?“
3. გიგის პასუხმა რატომ გამოიწვია ჟრიამული ?

3. დაწერეთ დაფაზე ქვემოთ მოყვანილი სიტყვები. მოსწავლეებმა ხაზი გაუსვან იმ სიტყვას, რომელიც სულიერს აღნიშნავს.

ფუტკარი, ყვავილი, ადამიანი, თაფლი, ფოთოლი, წიგნი, ჭიანჭველა, პეპელა, გოგონა, არწივი, მანქანა, მამალი.

4. თამაში – „რა აფრინდა?“

ინსტრუქცია: კლასში წაიკითხეთ ტექსტი და განიხილეთ, რა ფრინავს და რა არ ფრინავს.

აქტივობა: შექმენით ორი სია:
„ფრინავს“ (მაგ.: ჩიტი, თვითმფრინავი).
„არ ფრინავს“ (მაგ.: ხე, სკამი).
სთხოვეთ ბავშვებს, დაამატონ საკუთარი მაგალითები.

თბილი ქვეყნებისაკენ

- სადაა ნიკა, სად?

- ახლახან აქ იყო!

- ჩქარა მონახეთ!

დედა და უფროსი **და-ძმა** დაეძებდნენ მოუსვენარ ნიკას. მალე მაიკომ ეზოდან ამოიყვანა ზურგჩანთამოკიდებული ძამიკო.

- ბიჭო, სად მიდიოდი? - ჰკითხა დედამ.

- თბილ ქვეყანაში!

- როგორ თუ თბილ ქვეყანაში?

- შენ არ მითხარი, ფრინველები შემოდგომაზე თბილ ქვეყანაში მიფრინავენო?!

- მერე, შენ ხომ ფრინველი არა ხარ?

- მე აეროპორტში მივდიოდი გასაფრენად, - იხტიბარი არ გაიტეხა ნიკამ.

ნიკო კეცხოველი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

თბილი ქვეყანა – ქვეყანა, სადაც ყოველთვის თბილი ამინდია.
ზურგჩანთა – ჩანთა, რომელსაც ზურგზე იკიდებენ.
ძამიკო – პატარა ძმა (ალერსიანი ფორმა).
აეროპორტი – თვითმფრინავების ასაფრენი და დასაფრენი ადგილი.
იხტიბარი არ გაიტეხა – არ დანებდა; არ შედრკა; არ გამოტყდა.

2. ტექსტის მასაზრებელი შეკითხვები:

1. ვინ დაკარგეს დედამ და უფროსმა და-ძმამ?
2. სად იპოვეს ნიკა?
3. რა ეკიდა ნიკას ზურგზე?
4. რატომ მიდიოდა ნიკა აეროპორტში?
5. რატომ ფიქრობდა ნიკა, რომ უნდა გაფრენილიყო?
6. რას იტყვით ნიკაზე - სასაცილოა, ჭკვიანია თუ ცნობისმოყვარე? რატომ?

3. წერითი სავარჯიშო

დაფაზე დაწერეთ სიტყვა **და-ძმა**. ისაუბრეთ, ორი სიტყვის შეერთებით, ახალი სიტყვების მიღებაზე: **და-ძმა - დაძმობა.**

სთხოვეთ მოსწავლეებს, მაგალითის მიხედვით შეასრულონ დავალება და გააერთიანონ სიტყვები.

მაგალითი: და-ძმა - დაძმობა
დედა-შვილი - ...
სტუმარ-მასპინძელი - ...

4. მხიარული აქტივობა – „ფრინველები თუ ბავშვები?“

ბავშვებს ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც წერია სხვადასხვა მოქმედება (მაგალითად: „გაფრენა“, „ცურვა“, „სკოლაში სიარული“, „ბუდის გაკეთება“, „ბუკის კითხვა“ და ა.შ.). მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელ მოქმედებებს აკეთებენ ფრინველები და რომელს – ბავშვები. თუ მოქმედება ეხება ფრინველებს, ბავშვებმა უნდა გაშალონ ხელები და „იფრინონ“, თუ - ბავ-შვებს, მაშინ ტაში უნდა დაუკრან.

გაბაასება

- როგორ ხარ, ხარო ნიშაო?
- ისე რა, არა მიშაო...
- შენ როგორა ხარ, ლელაო?
- რა ვი... ვარ ნელა-ნელაო,
დიდედამ მომინელაო:
გოგოვ, რად დაგახველაო?
მანდ გრილა, აქა ცხელაო.
ჩამოხსენ საქანელაო!
ეს თხა ვინ გამოწველაო?
ეგ ხე ვინ გადაბელაო?
- არ დაიდარდო, ლელაო,
ეგრე არა ვართ ყველაო?!

ნოდარ დუმბაძე

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

გაბაასება - გასაუბრება; გამოლაპარაკება.
ნიშა - შეღრმავებული ადგილი კედელში. აქ: ხარის სინონიმი, რომელსაც შუბლზე ნიშანი აქვს.
დიდედა - ბებია.
მომინელა - გადატანითი მნიშვნელობით: დარდისგან განთავისუფლება, თავის დაღწევა, გადატანა.
გადაბელა - ხეთ გარდაკაფ(ვ)ა
არ დაიდარდო – ნუ ინერვიულებ.
მიშაო - მიშავს; არა მიშავს.

2. ტექსტის მასაზრებელი შეკითხვები:

1. რას ეუბნება დიდედა ლელას?
2. რას გულისხმობს ლექსის ბოლო სტრიქონი: „ეგრე არა ვართ ყველაო?“
3. მოძებნე ტექსტში კითხვითი წინადადებები და წაიკითხე.

3. მხიარული აქტივობა – თამაშები

სცენური დიალოგი

ბავშვები ორ ჯგუფად გაყავით. ერთი ჯგუფი „ლელაა“, მეორე – „დიდედა“. ჯგუფებმა უნდა გაითამაშონ დიალოგი, დაამატონ სახალისო მიმიკები და მოძრაობები.

შენ როგორ ხარ?

ბავშვები წრეში დგებიან და ერთმანეთს ეკითხებიან: „როგორ ხარ?“ ყველა განსხვავებული ხმითა და ემოციით პასუხობს, მაგალითად: „ვარ, როგორც მზესუმზირა მზეზე!“ ან „ვარ, როგორც წვიმის წვეთი ცისარტყელაში!“

ლექსის ილუსტრაცია

ბავშვები ხატავენ ლექსის სცენებს: ლელას, დიდედას, საქანელას, თხას ან გადაბელილ ხეს. შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ნამუშევრებს.

აქტივობები დაეხმარება მათ ლექსის უკეთ გაგებაში, ხალისით სწავლასა და ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებაში.

ჭიანჭველა და ფუტკარი

ჭიანჭველა უზარმაზარ ტვირთს მიათრევდა და თან ჩიოდა:

- ჩემოდენა ჯაფაში სულდგმული არ არის, მაგრამ ქება კი არავისგან მესმის. აი, უღონო და ბზუილა ფუტკარი მარტო ყვავილებზე დაფრიალებს, მაგრამ ყველა იმას აქებს. მეტი უსამართლობა კიდევ იქნება?!

- ფუტკარმა ეს გაიგონა და უპასუხა:

ძმაო, შენ მარტო შენი თავისთვის ზრუნავ, ჩემი შრომა კი ადამიანისთვისაც სასარგებლოა.

ამიტომაც მაქებს ქვეყანა.

იაკობ გოგებაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

უზარმაზარი – ძალიან დიდი.
ტვირთი – მძიმე საგანი, რომელსაც ვინმე ატარებს, მიათრევს ან გადააქვს.
ჩიოდა – წუწუნებდა; წუხდა.
ჯაფა – მძიმე შრომა, გარჯა.
ქება – შექება; კარგის თქმა.
უღონო – სუსტი, უძლური.
დაფრიალებს – დაფარფატებს; ჰაერში მსუბუქად მოძრაობს.
უსამართლობა – როცა რაღაც არასწორი და არასამართლიანია.
ზრუნავს – ფიქრობს და შრომობს ვინმესთვის ან რამისთვის.

2. ტექსტის გასააზრებელი შეკითხვები:

1. რა აწუხებდა ჭიანჭველას?
2. რას აკეთებდა ფუტკარი?
3. რატომ არ აქებდნენ ჭიანჭველას?
4. როგორ ახსნა ფუტკარმა, თუ რატომ აქებდნენ მას?
5. როგორ ახსნი, რომ ფუტკრის შრომა ადამიანისთვისაც სასარგებლოა?

3. მხიარული აქტივობა – თამაშები

დიალოგის ინსცენირება - მოსწავლეთა გუნდები ინაწილებენ ჭიანჭველას და ფუტკრის რო-ლებს – ერთმა გუნდმა უნდა გამოხატოს, როგორ წუწუნებს ჭიანჭველა, მეორემ კი ფუტკრის პასუხი უნდა გააჟღეროს. შეიძლება დაამატონ სახალისო დიალოგები.

ვის მხარეს ხარ? - ბავშვებს შეუძლიათ შექმნან პოსტერები, რომლებშიც გამოხატავენ, ვის უჭერენ მხარს – ჭიანჭველას თუ ფუტკარს. ნახატს უნდა დაურთონ მოკლე ახსნა, რატომ აირჩიეს ის.

მხიარული შეჯიბრი, ქების მარათონი - ბავშვებმა ერთმანეთს უნდა უთხრან საქებარი სიტყვები და დაასაბუთონ, რატომ ფიქრობენ ასე. ამ აქტივობით ისწავლიან, რომ ყოველგვარი შრომა და სიკეთე დასაფასებელია.

შვიდი ტყუპისცალი

ორშაბათი ჩიოდა,
საქმით თავი სტკიოდა,
ხელები რომ დაეღალა,
სამშაბათი დაეხმარა.
ოთხშაბათმა იმარხულა,
ხუთშაბათი ინახულა,
პარასკევმა - ჩქარაო!
შაბათმა თქვა - კმარაო!
კვირამ ექვსივე და-ძმას
ხელ-პირი დაჰბანაო,
მოასვენა, დააპურა,
დაუბრუნა ძალაო.
შვიდივე იმდენჯერ მოვა
რამდენჯერაც წავაო.

მარიამ წიკლაური

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ტყუპისცალი - ორი ან მეტი ერთად დაბადებული დედმამიშვილიდან ერთ-ერთი.
დაეხმარა – დახმარება გაუწია; ხელი შეუწყო.
ინახულა – მოინახულა; ეწვია ვინმეს.
ჩქარა – სწრაფად იმოქმედეო; აჩქარდიო.
კმარა – საკმარისიაო; მეტი აღარ მინდაო.
მოასვენა – დაასვენა; დასვენების საშუალება მისცა.
დაუბრუნა ძალა – ძალა აღუდგინაო, გააძლიერაო.

2. ტექსტის მასაზრებელი შეკითხვები:

1. რას გულისხმობს პოეტი შვიდ ტყუპისცალში?
2. რომელი დღით იწყება სამუშაო კვირა? რა ითქვა
3. ლექსში ამ დღის შესახებ?
4. რომელი დღით მთავრდება სამუშაო კვირა? რა ითქვა
5. ლექსში ამ დღის შესახებ?
6. რომელია დასვენების დღეები? რა ითქვა მათ შესახებ ლექსში?
7. რას ნიშნავს: „შვიდივე იმდენჯერ მოვა, რამდენჯერაც წავაო“?

3. აქტივობა: „ჩემი კვირა“

ბავშვებს ურიგდებათ ფურცლები ცარიელი ცხრილებით (კვირის დღეები სვეტებში), რომლებშიც უნდა ჩაწერონ, **რა გეგმები აქვთ უახლოესი ერთი კვირის** თითოეულ დღეს:

დღე	რას გავაკეთებ?
ორშაბათი	
სამშაბათი	
ოთხშაბათი	
ხუთშაბათი	
პარასკევი	
შაბათი	
კვირა	

ბავშვები უზიარებენ ერთმანეთს გეგმებს.

მოხდენილი პასუხი

ერთმა ვერაგმა მეფემ მეზობელი ქვეყნის ხელმწიფეს შეუთვალა: ისეთი ცხენი გამომიგზავნე, არც თეთრი იყოს, არც შავი, არც წაბლისფერი, არც მოწითალო და არც ჭრელი.

მეფეს ჩაეცინა და გათავხედებულ მეზობელს ასეთი პასუხი შეუთვალა: შენი მოსაწონი ცხენი უკვე მომგვარეს. კაცი გამომიგზავნე და ისეთ დღეს წაიყვანე, არც ორშაბათი იყოს,

არც სამშაბათი, არც ოთხშაბათი, არც ხუთშაბათი, არც პარასკევი, არც შაბათი და არც კვირაო.

იაკობ გოგებაშვილი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ვერაგი – მოღალატე; ბოროტი.
ხელმწიფე – მეფე; ქვეყნის მმართველი.
შეუთვალა – ამბავი აცნობა ვინმეს საშუალებით.
მოწითალო – ოდნავ წითელი ფერის.
ჭრელი – რასაც სხვადასხვა ფერი აქვს.
მომგვარეს – მომიყვანეს.

2. ტექსტის გასააზრებელი კითხვები:

1. რა შეუთვალა ერთმა ვერაგმა მეფემ მეზობელი ქვეყნის მეფეს?
2. რა მოიფიქრა მეზობელი ქვეყნის მეფემ?
3. მოთხრობის მიხედვით, პირველი მეფე ვერაგია. როგორია მეორე მეფე?
4. რატომ ჰქვია ამ ამბავს მოხდენილი პასუხი?

3. რა შეუთვალა ვერაგმა მეფემ მეზობელი ქვეყნის მეფეს და რა უპასუხა მან ვერაგ მეფეს?

მოსწავლეთა პასუხების მიხედვით, ვენის დიაგრამაში ჩაწერეთ ვერაგი მეფისა და მეზობელი ქვეყნის მეფის სიტყვები და სთხოვეთ მოსწავლეებს, დაადგინონ, რა არის საერთო მათ შორის:

მოდით, ტყის გზას გავუყვეთ.

გზაზე ჯერ ისევ თოვლი დევს, მაგრამ მზე ანათებს და თოვლის ქვეშიდან პატარა, ამღვრეული რუები გამოდიან;

ისინი ერთმანეთს უერთდებიან, ჩუმად კისკისებენ და ბოლოს კისრისტეხით ჩარბიან ღელეში.

ცხრათვალა მზე ანათებს, მაგრამ მზე ჯერ ისე არ აცხუნებს, როგორც ცხრა თვალს ეკადრება. აგერ, თითქოს კვირტებიც გამობერილან ხის ტოტებზე, იმათაც უგრძვნიათ, რომ საღღაც ახლომახლო გაზაფხული ტრიალებს და საცაა აქაც მოვა.

თამაზ ბიბილური

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად კი დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ამღვრეული – წყალი ან სხვა სითხე, რომელიც გაუმჭირვალეა.
რუები – პატარა ნაკადულები.
კისკისი – სასიამოვნო ხმით სიცილი.
კისრისტეხით – სწრაფი, სახიფათო მოძრაობით.
ღელე – წყლის ნაკადი, რომელიც კალაპოტში მოედინება.
კვირტები – გაზაფხულზე მცენარეების ტოტებზე გამონაზარდები, რომლებიც ახლო მომავალში გამოიტანს ახალ ფოთლებს.
ახლომახლო - ახლოს, აქვე.
ტრიალი – მოძრაობა ან ბრუნვა რაღაცა მიმართულებით.

2. ტექსტის მასაპაზრებელი კითხვები:

1. როგორი ამინდია აღწერილი ამ ტექსტში?
2. რა ემართებათ რუებს, როდესაც მათ „მზე ანათებს"?
3. რა მიანიშნებს „გაზაფხულის მოახლოებას“ ?
4. რა შეიძლება იყოს მწერლის მიზანი, როდესაც აღწერს ამ კონკრეტულ დროს და ბუნებას?
5. როგორ შეიძლება ბუნების ეს ცვლილებები დაკავშირებული იყოს ადამიანების ცხოვრებასთან?

ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები

ცხოვრობდა ქალაქ ვარეზეში ვინმე სინიორ ბიანკი. ეს სინიორ ბიანკი ერთ-ერთ სავაჭრო ფირმაში მსახურობდა და კვირაში ექვსი დღე სულ გზას ადგა. წასვლის წინ მისი პატარა გოგო მუდამ ყელგადაგდებით ეხვეწებოდა:

საღამოობით თითო ზღაპარი მიამბე ხოლმე, მამა, გენაცვალე.

უნდა გითხრათ, რომ პატარა გოგო უზღაპროდ ვერაფრით ვერ იძინებდა; დედას უკვე სულ მოყოლილი ჰქონდა, რაც კი ზღაპრები იცოდა, თანაც ზოგი სამ-სამჯერ. და, აი, სინიორ ბიანკი, სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველ საღამოს შინ ტელეფონით რეკავდა და თავის პატარა გოგოს ზღაპარს უყვებოდა.

ამ წიგნში სწორედ სინიორ ბიანკის ზღაპრებია თავმოყრილი. გული მეუბნება, წაიკითხავენ პატარები ქართულად ამ ზღაპრებს და მოწონებითაც მოეწონებათ, გართობითაც გაერთო-ბიან. სანაძლეოს დავდებ, ქართველი ბავშვებიც ისეთივენი არიან, როგორებიც რომაელი, მილანელი და ნეაპოლელი ბავშვები: მხიარულები, ანცები, საყვარლები. ბავშვი ბავშვია, გინდა ევროპელი იყოს და გინდა ამერიკელი, გინდა აზიელი და გინდა აფრიკელი, გარჩევა როგორ შეიძლება! მე მთელი დედამიწის ბავშვები გულში მისხედან და თვალში რომ ჩამიცვივდნენ, ხელს არ ამოვისვამ. კარგი ზღაპარი ქვეყანას მირჩევნია. ზღაპრებს რომ არ ვიგონებდე, მაშინ ან სათამაშოებს გაგითლიდით, ანდა ვიოლინოს დაგიკრავდით.

საყვარელო პატარა ქართველებო, გისურვებთ ამ წიგნის გულიანად წაკითხვას და ჯანმრთელობას. გაიზარდეთ კარგები, თქვენს ქვეყანასაც გამოადექით და მთელ ქვეყნიერებასაც.

შრომაში მუდამ სიხარული გენახოთ და მეგობრები არ გამოგლეოდეთ! რა საბრალო და საცოდავია, ვისაც მეგობარი ვერ უპოვია! თუ გული გულობს, მეგობარს რა გამოლევს! განა ჩვენ მეგობრები არა ვართ? აბა, მაშ რა! აი, ამიტომაც ვაწერ ხელს.

თქვენი მეგობარი ჯანი როდარი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

სინიორ ბიანკი – იტალიელი; სავარაუდოდ, ავტორის მიერ გამოგონილი ან რეალური გმირი.
ფირმა – ორგანიზაცია; დაწესებულება.
სულ გზას ადგა - სულ გზაში იყო; ბევრს მგზავრობდა, მიდი-მოდიოდა.
ყელგადაგდებით ეხვეწებოდა - ძალიან სთხოვდა, ემუდარებოდა.
უზღაპროდ – ზღაპრის გარეშე.
მილანელი, ნეაპოლელი – ქალაქების სახელები იტალიაში; აღნიშნავს, რომელი ქალაქიდან არიან ბავშვები.
გართობა – თამაში, მხიარულება, დასვენება.
გული მეუბნება – ემოციური მოლოდინი მაქვს; გული მიგრძნობს.
გარდაუვალი – ისეთი რაღაც, რაც აუცილებლად მოხდება. მოვლენა/ამბავი, რომელიც აუცილებლად მოხდება.
მეგობარი – ადამიანი, რომელთანაც სულიერი კავშირი გაქვს.

2. ტექსტის მასაზრებელი კითხვები:

1. რა სამუშაოს ასრულებდა სინიორ ბიანკი?
2. რის გარეშე ვერ იძინებდა პატარა გოგო?
3. როგორ ახერხებდა სინიორ ბიანკი ზღაპრების მოყოლას, როცა სახლში არ იყო?
4. რას გულისხმობს ავტორი, როდესაც ამბობს, რომ „ბავშვი ბავშვია“?
5. როგორია ავტორის დამოკიდებულება ბავშვების მიმართ?
6. როგორ გესმით, „თვალში რომ ჩამიცვივდნენ, ხელს არ ამოვისვამ“?
7. რას ნიშნავს „მეგობარი არ გამოგლეოდეთ“?
8. რას უსურვებს მწერალი ქართველ ბავშვებს?
9. მწერლის აზრით, ვინ არის საბრალო და საცოდავი?

უნიჭო ობობა

აგურსა და აგურს შორის, ერთ ხვრელში, ცხოვრობდნენ დედა ობობა და მამა ობობა. მათ სამი შვილი ჰყავდათ, სამივენი პატარა ობობები იყვნენ.

აბა, ობობა რისი ობობაა, თუ მან აბლაბუდის ქსოვა არ იცის? ჰოდა, როცა პატარა ობობები წამოიზარდნენ, მშობლებმა ისინი ცნობილ ობობა-ფეიქარს მიაბარეს ხელობის შესასწავლად.

ფეიქარი ობობა ძველებური სახლის ფართო სხვენში ცხოვრობდა. სხვენის მთელი კუთხეები, კედლები და ჭერი მისი და მისი შეგირდების ნახელავით იყო მოქარგული.

ორმა პატარა ობობამ უცებ ისწავლა ქსოვა. მესამე კი უნიჭო გამოდგა - თუმცა ბევრს ეცადა, ვერ იქნა და ვერ დაეუფლა ამ ხელობას. ბოლოს მოჰბეზრდა და სხვენის დათვალიერებას შეუდგა.

უცებ ბზუილი შემოესმა. როცა ახლოს მივიდა, დაინახა, რომ აბლაბუდაში ბუზი გახლართულიყო. გაკვირვებულმა ჰკითხა ბუზს - როგორ ბზუიხარო?

ბუზისათვის მეტად მოულოდნელი იყო ეს შეკითხვა და წამით შეწყვიტა ბზუილი. შემდეგ უპასუხა - გამათავისუფლე და გასწავლიო.

ობობამ იმწამსვე გაათავისუფლა ბუზი. ბუზმაც შეასრულა დანაპირები და ასწავლა ბზუილი.

იმ დღის შემდეგ პატარა ობობა, სადაც კი აბლაბუდას ნახავდა, შიგ შუაგულში ჩაჯდებოდა და ბზუოდა. ყოველი მხრიდან თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ დიდი ობობები. ისინი თვალებს არ უჯერებდნენ, როცა პატარა ობობა შერჩებოდათ ხოლმე ხელში და გაწბილებულნი ბრუნდებოდნენ შინ.

ერლომ ახვლედიანი

1. მხიარული ლექსიკონი

სთხოვეთ მოსწავლეებს ტექსტში იპოვონ უცნობი სიტყვები. შემდეგ კი შეეცადონ, გამოიცნონ, ივარაუდონ, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული. პარალელურად, დაფაზე შექმენით მხიარული ლექსიკონი.

ფეიქარი - მქსოველი.
შეგირდი - მოწაფე.
სხვენი - ადგილი სახლის სახურავის ქვეშ.
გაწბილებული - მოტყუებული; იმედგაცრუებული.
ხვრელი – ადგილი, ფიზიკური სივრცე, სადაც სიცარიელეა.
ბზუილი – მწერის ფრენისას გამოცემული დაბალი, გაბმული ხმა.
გაკვირვება – ძლიერი განცდა ან ემოცია, რომელიც გამოწვეულია უცნაური ან მოულოდნელი მოვლენით.
დანაპირები – ის, რასაც დაჰპირდა;

2. ტექსტის გასააზრებელი კითხვები:

1. ვის მიაბარეს მშობლებმა პატარა ობობები ხელობის შესასწავლად?
2. რა უნდა ესწავლებინა ობობა-ფეიქარს პატარა ობობებისათვის?
3. რა ასწავლა ბუზმა ობობას?
4. რისი ნიჭი აღმოაჩნდა უნიჭო ობობას?

სოკოს ქვეშ

პიესა იაპონური ზღაპრის მიხედვით

მოქმედი პირები: კალია, პეპელა, ჭიამაია, მელია, ბეღურა, კურდღელი, შვიდი მთხრობელი.

პირველი მთხრობელი: - გაზაფხულია, მინდორში ყვავილებს შორის დაფრინავენ პეპლები, ხტიან კალიები. უცებ მოიღრუბლა. კალიას მოუსწრო შხაპუნა წვიმამ.

კალია: - რა ვქნა, სად დავიმალო!

მეორე მთხრობელი: დაინახა კალიამ პატარა სოკო და დაიმალა სოკოს ქვეშ. ამ დროს მოფრინდა დასველებული პეპელა.

პეპელა: - კალია, კალია, შემომიშვი სოკოს ქვეშ. დავსველდი, ფრენა არ შემიძლია.

კალია: - როგორ შემოგიშვა, მეც ძლივს მოვთავსდი.

პეპელა: - არა უშავს. ვიწროდ, მაგრამ მეგობრულად ვიქნებით.

მესამე მთხრობელი: - შეუშვა კალიამ პეპელა სოკოს ქვეშ და დაინახა: მოცოცავს ჭიამაია.

ჭიამაია: - შემომიშვით სოკოს ქვეშ. წყალი ნაკადულებად ჩამომდის.

კალია და პეპელა: - აბა, სად შემოგიშვათ?! ადგილი აღარა გვაქვს!

ჭიამაია: - შემჭიდროვდით ცოტა.

მეოთხე მთხრობელი: - შემჭიდროვდნენ კალია და პეპელა, შეუშვეს სოკოს ქვეშ ჭიამაია. ამ დროს სოკოს წინ ბეღურა დასკუპდა.

ბეღურა: - დამისველდა ბუმბული, დამეღალა ფრთები. შემომიშვით სოკოს ქვეშ, გავშრე და დავისვენო.

ყველანი: - ადგილი არა გვაქვს!

ბეღურა: - ჩაიწიეთ ცოტათი, გთხოვთ, გეხვეწებით!

მეხუთე მთხრობელი: - შემჭიდროვდნენ, მიიღეს ბეღურაც. სად იყო, სად არა, ველზე კურდღელი გამოჩნდა. დაინახა სოკო.

კურდღელი: - დამმალეთ, გადამარჩინეთ, მელია მომდევს!

კალია: - ცოდოა, მოდი, კიდევ შევმჭიდროვდეთ.

მეექვსე მთხრობელი: - ის-ის იყო, დაიმალა კურდღელი, რომ მელიამაც მოირბინა.

მელია: - არ გინახავთ კურდღელი?

ყველანი: - არ გვინახავს, არა!

მელია: - აქ ხომ არ დაიმალა?

ყველანი: - აბა, აქ როგორ დაიმალებოდა!

მეშვიდე მთხრობელი: - ჩაიქნია მელიამ კუდი და წავიდა. წვიმამ გადაიღო, მზემ გამოანათა. ყველანი გამოვიდნენ სოკოს ქვეშიდან.

კალია: - ეს როგორ მოხდა?! წინათ მარტო მე ძლივს ვეტეოდი სოკოს ქვეშ, ახლა კი ხუთივეს გვეყო ადგილი!

ყველანი: - გაზრდილა, რა დიდი გაზრდილა!

3. თამაში - ვინ? რა?

1. დაამზადეთ ორი ყუთი. ერთზე დააწერეთ „ვინ?“ და მეორეზე - „რა?“.
2. პატარა ფურცლებზე ჩამოწერეთ ტექსტში მოცემული არსებითი სახელები.
3. ბავშვებმა რიგრიგობით უნდა აიღონ ფურცლები, წაიკითხონ სიტყვა და გადაწყვიტონ, რომელ ყუთში ჩააგდონ მოცემული სიტყვა.
4. თუ ბავშვი სწორად განათავსებს ფურცელზე დაწერილ სიტყვას, მიიღებს ქულას. შეგიძლიათ დამატებით სთხოვოთ, რომ ამ სიტყვის გამოყენებით წინადადებაც შეადგინოს.
5. აქტივობის გართულების მიზნით, სთხოვეთ მოსწავლეებს, თვითონაც მოიფიქრონ ახალი სიტყვები და ჩააგდონ შესაბამის ყუთში.

ეს თამაში დაეხმარება მეორეკლასელებს, გაიმდიდრონ ლექსიკა.